



საქართველოს რეგიონული განვითარებისა და
ინფრასტრუქტურის სამინისტრო

MINISTRY OF REGIONAL DEVELOPMENT AND
INFRASTRUCTURE OF GEORGIA

1194-01-2-201903141823



N 01/1194

14/03/2019



აიიპ „საქართველოს რეფორმების ასოციაცია“
წერილის რეგისტრაციის № 27/01
თარიღი: 20 03 2019 წ

ფაქტ-მეტრის მთავარ რედაქტორს,
ბატონ დავით ქუტიძეს
Nanovero71@gmail.com

ბატონო დავით,

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროში მიმდინარე წლის 27 თებერვალს შემოსული თქვენი 2019 წლის 25 თებერვლის №45 წერილის პასუხად გაცნობებთ, რომ „საქართველოს 2018 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ 2017 წლის 13 დეკემბრის №1721-ის საქართველოს კანონით „ჩქაროსნული ავტომაგისტრალის მშენებლობის“ პროგრამის დამტკიცებული ბიუჯეტის ფარგლებში, ჩუმათელეთი-ხევი-უბისა-შორაპანი-არგვეთას მონაკვეთისათვის გათვალისწინებული ასიგნებები შეადგენდა 250 000,0 ათას (ორას ორმოცდაათი მილიონი) ლარს, ხოლო „საქართველოს 2018 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ 2018 წლის 13 დეკემბრის №3960-ის საქართველოს კანონით „ჩქაროსნული ავტომაგისტრალის მშენებლობის“ პროგრამის დამტკიცებული ბიუჯეტის ფარგლებში, ჩუმათელეთი-ხევი-უბისა-შორაპანი-არგვეთას მონაკვეთისათვის გათვალისწინებული ასიგნებები შეადგენდა 338 725,0 ათას (სამას ოცდათვრამეტი მილიონ შვიდას ოცდახუთი ათასი) ლარს, ხოლო 2018 წლის დაზუსტებულმა გეგმამ შეადგინა 359 855,8 ათასი (სამას ორმოცდაცხრამეტი მილიონ რვაას ორმოცდათხუთმეტი ათას რვაასი) ლარი.

ზემოაღნიშნული წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული თანხების უმეტესი ნაწილი მოიცავდა საავანსო გადახდებს, რომლებიც გათვალისწინებულია მოსამზადებელი და სამობილიზაციო სამუშაოებისათვის (სამშენებლო სპეც-ტექნიკის, მანქანა-მექანიზმების, ბეტონის ქარხნების, ქვის სამტვრევი დანადგარების, სამშენებლო მასალების სავეღო ოფისების და სხვა) და ასევე, განსახლების გეგმის განხორციელებისათვის გათვალისწინებულ თანხებს.

ამასთან, 2018 წლის ჩუმათელეთი-ხევი-უბისა-შორაპანი-არგვეთას მონაკვეთის ფარგლებში გაწეულმა საკასო ხარჯმა შეადგინა 412 556,3 ათასი (ოთხას თორმეტი მილიონ ხუთას ორმოცდათექვსმეტი ათას სამასი) ლარი.

„საქართველოს 2019 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ 2018 წლის 13 დეკემბრის №3948-ის საქართველოს კანონით „ჩქაროსნული ავტომაგისტრალის მშენებლობის“ პროგრამის დამტკიცებული ბიუჯეტის ფარგლებში, ჩუმათელეთი-ხევი-უბისა-შორაპანი-არგვეთას მონაკვეთისათვის გათვალისწინებული ასიგნებები შეადგენს 315 850,0 ათას (სამას თხუთმეტი მილიონ რვაას ორმოცდაათი ათასი) ლარს.

E-60 ავტომაგისტრალის (რიკოთის საუღელტეხილო გზის) ხევი-უბისას მონაკვეთის მშენებლობაზე (F2) ტენდერი გამოცხადდა 2018 წლის 20 ივლისს, რომელშიც გაიმარჯვა კომპანია „Hunan Road & Bridge Construction Group“-მა (ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა). E-60 ავტომაგისტრალის უბისა-შორაპანის საავტომობილო გზის მონაკვეთის მშენებლობაზე (F3) ტენდერი გამოცხადდა 2018 წლის 4 ივლისს, რომელშიც გაიმარჯვა კომპანია „China Road and Bridge Corporation“-მა (ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა). E-60 ავტომაგისტრალის ჩუმათელეთი-ხევის საავტომობილო გზის მონაკვეთის მშენებლობის (F1) ტენდერი გაიხსნა 2019 წლის 29 იანვარს და ამჟამად მიმდინარეობს წარმოდგენილი სატენდერო წინადადებების შეფასების პროცესი. E-60 ავტომაგისტრალის შორაპანი-არგვეთას საავტომობილო გზის მშენებლობაზე (F4) გამოცხადებული ტენდერი დასრულდა უარყოფითი შედეგით და შესაბამისად, ტენდერი გამოცხადდება თავიდან.

აღსანიშნავია, რომ E-60 ავტომაგისტრალის (რიკოთის საუღელტეხილო გზის) ხევი-უბისას მონაკვეთის მშენებლობაზე (F2) ხელშეკრულება გაფორმდა 2018 წლის 20 ნოემბერს, რომლის ღირებულება შეადგენს 732 296 478.02 (შვიდას ოცდათორმეტი მილიონ ორას ოთხმოცდათექვსმეტი ათას ოთხას სამოცდათვრამეტი ლარი და ორი თეთრი) ლარს და სამუშაოების დასრულების ვადა შეადგენს სამუშაოების დაწყებიდან 1080 დღეს (2018-2021 წლები), ხოლო E-60 ავტომაგისტრალის უბისა-შორაპანის მონაკვეთის მშენებლობაზე (F3) ხელშეკრულება გაფორმდა 2018 წლის 21 ნოემბერს, რომლის ღირებულებაც 901 973 206.57 (ცხრაას ერთი მილიონ ცხრაას სამოცდაცამეტი ათას ორას ექვსი ლარი და ორმოცდაჩვიდმეტი თეთრი) ლარი და სამუშაოების დასრულების ვადა შეადგენს სამუშაოების დაწყებიდან 1095 დღეს (2018-2021 წლები).

E-60 ავტომაგისტრალის ხევი-უბისას საავტომობილო გზის მონაკვეთის მშენებლობაზე (F2) ტენდერში გამარჯვებულ კომპანიას ავანსის სახით ჩაერიცხა 149 993.2 ათასი (ას ორმოცდაცხრა მილიონ ცხრაას ოთხმოცდაცამეტი ათას ორასი) ლარი, ხოლო E-60 ავტომაგისტრალის უბისა-შორაპანის საავტომობილო გზის მონაკვეთის მშენებლობაზე (F3) ტენდერში გამარჯვებულ კომპანიას ავანსად ჩაერიცხა 237 805,5 ათასი (ორას ოცდაჩვიდმეტი მილიონ რვაას ხუთი ათას ხუთასი) ლარი.

პატივისცემით,

დავით მეტრეველი

საჯარო ინფორმაციის გაცემაზე პასუხისმგებელი პირი

სამართლებრივი უზრუნველყოფის დეპარტამენტი

